პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 92 (3069)

15 1966 წ. მაისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი

დღეს ნომერში

- ოლიმპიელი ოლიმპიურ სიმაღლეზე — 1-ლი გვ.
- ჩემპიონატი ხარვეზებით — მე-2 გვ.
- მთავარი მსაჯის აზრით... — მე-3 გვ.
- 32 წლის შემდეგ — მე-4 გვ.



ეს საინტერესოა!

◆ **მაგდებურგი**, 14 მაისი. აქ დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ შვეიცის, უნგრეთის, გდრ-ისა და სსრ კავშირის გუნდები. პირველ მატჩში საბჭოთა სპორტსმენები მასპინძლებს — გერმანელ წყალბურთელებს შეხვდნენ და საინტერესო ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:4.

◆ **ნოვოსიბირსკი**, 14 მაისი. ციმბირის ამ ქალაქში პირველად ტარდება ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. 100-ზე მეტი უძლიერესი ათლეტი იბრძოლებს ჩემპიონთა მედლებისთვის. ასპარეზობა ტრადიციულად გახსნეს მჩატე წონის ძალოსნებმა; ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ა. ვახონინმა (მსატი) მხოლოდ საკუთარი წონის ნაკლებობით აჯობა ახალგაზრდა არმიელ ძალოსანს გ. ჩეტინს (ჰერში). ორივემ 342,5 კგ დააგროვა. ბრინჯაოს მედალს დაპატრონა პეზნელი გ. იაკუნინი — 325 კგ.

ᲒᲣᲜᲓᲘᲗ...

ᲓᲘᲚᲘᲗ თბილისელმა მოჭადრაკეებმა ლომაიამ და ჩაიკოვსკაიამ დაამთავრეს წინდღით ერევანელებთან გადადებული პარტიები. ლომაიამ ზუსტი თამაშით მოუგო აკობიანს, ხოლო ჩაიკოვსკაიამ შეუპოვარი წინააღმდეგობით ყაიმს მიაღწია ბოიახჩიანთან. ამრიგად, თბილისი — ერევნის მატჩი დასრულდა ანგარიშით 6,5:3,5 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ᲡᲐᲚᲐᲛᲘᲡ ბაქო—ერევნის შეხვედრით დაიწყო სამი მოძმე დედაქალაქის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩ-ტურნირის II წრე. ერევნელები ამჯერად დიდი მონდომებით იბრძოდნენ. სომხეთის ჩემპიონმა მნაცაკანიანმა შესანიშნავ სტრატეგიულ მოუგო ბაგიროვს. კასპარიანმა დაამარცხა ა. შახტახტინსკი, ვარდანიანმა — გორბულოვა. ბაქოელთაგან საკოვამ აღიარა აფიანს და გავაშელაშვილმა — არუთინიანს. ყაიმით დამთავრდა ლ. გრიგორიანი—ფ. შახტახტინსკის პარტია.

IV ტურის შემდეგ თბილისელ მოჭადრაკეებს 13,5 ქულა აქვთ (20-დან), ბაქოელებს — 13 ქულა და 3 გადადებული პარტია (30-დან), ერევნელებს — 9,5 ქულა და 3 გადადებული პარტია (30-დან).

ᲞᲔᲖᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲘᲠᲯᲣᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲘᲑᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲜᲘ ᲡᲯᲐᲜᲯᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ 1966

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 14 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ცენტრალურ საშადრაკო კლუბში მოეწყო პეტროსიან — სპასკის მატჩის XIII და XIV პარტიების დამთავრება.

XIII პარტიაში, რომელიც 12 მაისს ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მეორედ გადაიდო, თამაში არ განახლებულა: პეტროსიანმა ზედმეტად მიიჩნია შემდგომი წინააღმდეგობა და დანებდა.

აი, როგორ წარიმართა XIII პარტია თამაშის განახლების შემდეგ, 12 მაისს.

41. ... b6 42. ⚔g1 ♔d8 43. ♗f1 ♗f6 44. ♗e2 c5 45. ♗f5 ♗gd6 46. a4 ♗gd5 47. ♗gd3 ♗g4 48. ♗b2 ♗h3 49. a5 c4+ 50. ♗ge2 ♗ge4 51. ♗f7 ba 52. ♗b8 a4 53. ♗c8 ♔f6 54. ♗:c4+ ♗gf5 55. ♗a7 a3 56. ♗:a3 ♗b8 57. ♗b4 ♗c8 58. c4 ♗e7 59. c5 e4 60. ♗a7 ♔f6 61. ♗h7 ♗gg6 62. ♗d7 ♗gf5 63. ♗d5+ ♔e5 64. ♗b6 e3 65. ♗gf3 ♗f6 66. ♗d3 ♗:c5 67. ♔:e3 ♔e2 68. ♗d8 ♗c3 69. ♗ge2 ♗c2+ 70. ♗gd1 ♗c3 71. ♔f2 ♗e4 72. ♗f8+ ♗gg5 73. ♗b5 ♗d3+ 74. ♗ge2 ♗d5 75. ♗:d5 ♗c3+ 76. ♗gf3 ♗:d5 77. ♗a8 ♗gf5 78. ♗a5 ♗ge6 79. ♔e1 ♗f6 80. ♗b5 ♗d5 81. ♔d2 ♔g7 82. ♔c1 ♔e5 83. ♔b2 ♔c7 84. ♗c5 ♔d6 85. ♗c1 ♗e7 86. ♗e1+ ♗gf5 87. ♗a1 ♗c6 88. ♗a6 ♔e5 89. ♗:c6 ♔:b2 90. ♗c5+ ♗gg6 91. ♗gf4. აქ პარტია გადაიდო.

როგორც ცნობილია, XIV პარტია მსოფლიო ჩემპიონისთვის უარეს პოზიციაში იყო შეწყვეტილი. აი, ისიც:

ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ (თეთრები): ♗gh2, ♗e1, ♗d1, ♔e2, ♔g2, ♙a5, d4, f4, h3 (9).

ᲡᲞᲐᲡᲙᲘ (შავები): ♗gh7, ♗a3, ♗e8, ♔d2, ♔g7, ♙a6, e4, g6, h6 (9).

თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ პეტროსიანს ძლიერი სვლა ჩაეწერა. კონტრშანსების მიღების მიზნით იგი შეეცადა ხაზების გახსნას შავ მეფეზე თავდასხმისთვის. ამ საშიშროების გასაქარწყლებლად სპასკიმ ენდშპილში გადასვლა ამჯობინა. ლაზიერების გაცვლის შემდეგ პეტროსიანმა 2 პაიკი შესწირა მეტოქეს და საყაიმო პოზიცია შექმნა. სპასკი ამაოდ შეეცადა პაიკების გაყვანას. 57-ე სვლაზე მისი წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. აი, როგორ მოხდა ესე:

41. h4 (ჩაწერილი სვლა) ♗d6 42. h5 g5 43. ♗g3 ♔:d4 44. ♔:d4 ♗:d4 45. fg ♗e5 46. ♗:e5 ♗:e5 47. gh ♗:a5 48. ♗gg3 ♗g5+ 49. ♗gf2 a5 50. ♗a1 ♗g:h6 51. ♔h1 ♗:h5 52. ♗ge3 ♔c2 53. ♗c1 ♗h3+ 54. ♗gd4 a4 55. ♔:e4 ♔:e4 56. ♗g:e4 a3 57. ♗gd4. ყაიმი.

ამრიგად, XIV პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 7,5:6,5 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. XV პარტია შეიდგება 16 მაისს.

• • •

სურათზე: ტ. პეტროსიანმა სვლა გააკეთა და... „გაისეირნა". ბ. სპასკი შეუდგა პოზიციის შესწავლას.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

მეორე — პირადშიც, გუნდურშიც

პრაღა, 13 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის III ეტაპი (გარახოვი — გრადეც-კრალოვე, 125 კმ) ორ ნახევარტაპად გაიმართა. 17 კმ-ზე დაყოფილი სტარტით ინდივიდუალური რბოლა მოიგო ფრანგმა გიუიომ — 28.22. II იყო დოხლიაკოვი (სსრ კავშირი) — 29.00, ხოლო III — იტალიელი ალბონეტი — 29.10. მეორე ნახევარტაპაზე (108 კმ) ფინიშზე ერთნაირი შედეგით (2:25.08) მივიდა ველომრბოლელთა დიდი ჯგუფი. აქ იყო 5 საბჭოთა სპორტსმენი. საბოლოოდ, გიუიომ, დოხლიაკოვმა და ალბონეტიმ I ადგილი გაიყვეს. გუნდურ ჩათვლაში იტალიელებმა იმარჯვეს. საბჭოთა ველომრბოლელები მათ 1 წამით ჩამორჩნენ.

IV ეტაპზე (გრადეც-კრალოვე — ბრნო, 144 კმ) გაიმარჯვა პოლონელმა კუდრამ — 3:27.20. ველომრბოლელთა დიდ ჯგუფში II იყო ვენცელი, III — პოლევიაკი (ორივენი — ჩეხოსლოვაკია), IV — გიუიო, V — ჟარკოვი, VIII — დოხლიაკოვი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 10:23.45. ასეთივე დროით II ადგილზე იყვნენ საბჭოთა ველომრბოლელები. ვაჟკაცურად მოიქცა ლენინგრადელი ოლიზარენკო: იგი წინდღით დაეცა და დაშავდა. მიუხედავად ამისა, სტარტზე გამოვიდა და საბჭოთა გუნდს ჩათვლა მისცა.

V ეტაპი უკანასკნელი იყო, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე შედგა (ბრნო — ოტროკოვიცე, 130 კმ). გზაში სპორტსმენებმა ორჯერ იასპარეზეს სიჩქარეზე რბოლაში და ორივეჯერ საბჭოთა ველომრბოლელმა პეტროვმა გაიმარჯვა. 93-ე კილომეტრზე შედგა ბოლო სამთო ფინიში. აქაც პირველი პეტროვი იყო, მაგრამ ყველა სამთო ეტაპის ჯამში გაიმარჯვა გიუიომ. საერთოდ, ეტაპი მოიგო უნგრელმა მედიერდიმ — 3:15.14. პეტროვი IV იყო, გიუიო — VI.

5 ეტაპის ჯამში კვლავ ლიდერობს გიუიო. დოხლიაკოვი ისევ მეორეა, პეტროვი VIII ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან პოლონელები. საბჭოთა ველომრბოლელები II ადგილზე არიან.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲛᲝᲒᲖᲘᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲰᲐᲢᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ

ᲡᲐᲛᲒᲝᲡ თაყვანისმცემლები ილია ციპურსკის იცნობენ, როგორც სსრ კავშირის ჩემპიონსა და ძიუ-დოში ევროპის პირველობათა მონაწილეს. ახლახან მის სპორტულ ტიტულს მიემატა... ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ნაშრომი, რომელიც მოსკოვის ვ. კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა, ციპურსკიმ მიწისსათხრელ აგრეგატებს უძღვნა. კაბელების ჩაწყობის მისებური მეთოდით ხერხდება შრომატევადი პროცესის ავტომატიზება, რაც, თავისთავად, დიდ ეკონომიას იძლევა.

ამ თემისთვის მასალის შეკრება ილიამ 1957 წლიდან დაიწყო. მაშინ იგი ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა. სამეცნიერო მუშაობას დიდი დრო მიქონდა, მაგრამ ციპურსკი არც სამბოს ივიწყებდა. იგი მონაწილეობს სსრ კავშირის თითქმის ყველა ჩემპიონატში, 1962 წლიდან კი ქვეყნის ნაკრებშია და გამოდის გდრ-ში, ესპანეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, გფრ-ში. შემთხვევითი როდია, რომ დისერტაციის დაცვაზე მისი თანაგუნდელები — ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონები ა. ბოგოლიუბოვი, ვ. დოროშკევიჩი და ბევრი სხვა გამოჩენილი სპორტსმენიც მოვიდა.

— ილია სამბისტებში მეცნიერების მესამე კანდიდატია, — ამაყად გამომცხადა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ციპურსკის მოძღვარმა სპორტში ე. ჩუმაკოვმა. — ამას წინათ დისერტაცია წარმატებით დაიცვეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებმა ა. კარაშჩუკმა და ე. გლორიოზოვმა.

Ი. ᲑᲐᲩᲙᲝᲕᲐᲜᲘᲐᲜᲘ.

ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲘ ᲐᲛᲐᲢᲖᲔ

Цივი, ჰირვეული გაზაფხული იდგა წლეულს ლატვიაში. მაგრამ ტურისტებსა და, მით უმეტეს, საწყლოსნო სპორტის მოყვარულთ, უამინდობა, ამა, როგორ შეაშინებდა? ადგნენ და მაინც მოიყარეს თავი ბობჭარი, წყალუხვი და ჰორომიანი ამატის ნაპირას, რომ საწყლოსნო ტურიზმში რესპუბლიკის პირველობა ჩაეტარებინათ.

13-კილომეტრიან დისტანციაზე მწვავე, თუმცა, დროდადრო ყინულოვანი „შხაპით" შეზავებული ბრძოლა გაჩაღდა. გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდა 107 ორადგილიანი ეკიპაჟი ბაიდარებზე, რეზინის გასაბერ და სამონადირო ნავებზე — კატამარანებზე.

ფინიშს ყველაზე სწრაფად რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლატვიის დეპეშათა სააგენტოს, სასოფლო-სამეურნეო აკადემიისა და „ლატგიპროზემის", სამშენებლო ტექნიკუმისა და ხორცის კომბინატის სპორტსმენებმა მიაღწიეს.

5 ათასი მაყურებლისა და მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი სლალომმა გამოიწვია. სტარტზე 135 წყვილი გამოვიდა.

Ე. ᲫᲔᲠᲕᲘᲢᲔ.

ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲣᲒᲚᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ „უემბლის" სტადიონზე 100 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო ინგლისის საფეხბურთო თასის გათამაშების ფინალურ მატჩს. ერთმანეთს შეხვდნენ ლივერპულის „ევერტონი" და „შეფილდ უენსდეი".

უკვე მე-4 წუთზე შეფილდელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მაკკალიოვმა ანგარიში გახსნა — 1:0. უპირატესობას შეფილდელები კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ და მეორე ნახევრის დასაწყისში მათმა თავდამსხმელმა ფორდმა „ევერტონის" კარში მეორე ბურთი მოათავსა — 2:0.

მიუხედავად ასეთი ტრაგიკული ვითარებისა, ლივერპულელებმა ფარხმალი არ დაუყარეს და საუცხოოდ გამოიყენეს მეტოქის დაცვის სამადასამი შეცდომა: 15 წუთის განმავლობაში 3 გოლი გაიტანეს—3:2 (გადამწყვეტი ბურთის ავტორია მარცხენა გარემარბი ტემპლი, რომელიც სულ ახლახან შეიყვანეს ინგლისის ნაკრების კანდიდატთა სიაში).

ამრიგად, თასი ლივერპულის „ევერტონმა" მოიპოვა. როგორც ცნობილია, წლეულს ქვეყნის ჩემპიონიც ამ ქალაქის წარმომადგენელი — „ლივერპული" გახდა. (საკ. ინფ.).

ᲒᲣᲜᲓᲘᲗ...

წყვეტი ბურთის ავტორია მარცხენა გარემარბი ტემპლი, რომელიც სულ ახლახან შეიყვანეს ინგლისის ნაკრების კანდიდატთა სიაში).

საქართველოს სტუდენტთა თამაშები

კალათბურთი

ფავორიტთა უპირატესობით

კალათბურთელთა ტურნირში რვასპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები ფაროდ იყვნენ წარმოდგენილი და ამიტომ, მოასპარეზე გუნდები სამ ჯგუფად დაიყვნენ.

რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში I ჯგუფის კოლექტივთა შეჯიბრება იყო. ვაჟებში ყველას აჯობებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა. ეს კანონზომიერია, ვინაიდან მომავალი ინჟინრების ღირსებას „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ოსტატები იცავდნენ. ამ გუნდს მთელ ტურნირში, ფაქტიურად, 2 სერიოზული მატჩის ჩატარება მოუხდა.

მისი მთავარი მეტოქე გახლდათ უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც ფავორიტს განსაკუთრებით მედგარი წინააღმდეგობა შესვენებამდე გაუწია (23:25). მერე კი ინსტიტუტელებმა სხვაობა გაზარდეს და საბოლოოდ 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს — 62.52. ფავორიტების გამარჯვებით დამთავრდა მატჩი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთანაც. უპირატესობა ამჯერად კიდევ უფრო საგრძნობი იყო — 79.54 (33.21).

II ადგილისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელთა შეხვედრას. პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 29:29. საბოლოოდ, გაიმარჯვა ინსტიტუტის გუნდმა — 55:53. ამ წარმატებაში II პრიზიორს დიდად შეუწყო ხელი ა. ლეჟავას მაღალმა ოსტატობამ. უნივერსიტეტის გუნდი III ადგილზეა.

ქალთა ტურნირშიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა იმარჯვა. ხსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა გადამწყვეტი მატჩი უნივერსიტეტის კოლექტივს დამაჯერებელი ანგარიშით (57.38) მოუგო. უნივერსიტეტელებმა II ადგილი დაიჩაგრეს.

ნ. ახვლედიანი.

ფეხბურთი

ერევნული ბენიოლეკა

I ჯგუფი. 1. [illegible] ინსტიტუტი (თბილისი), 2. პედინსტიტუტი (ბათუმი), 3. პედინსტიტუტი (სოხუმი), 4. პედინსტიტუტი (ქუთაისი), 5. სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი (სოხუმი).

ქალები. 1. უცხო ენათა ინსტიტუტი, (თბილისი), 2. პედინსტიტუტი (ბათუმი), 3. სამედიცინო ინსტიტუტი (თბილისი), 4. პედინსტიტუტი (სოხუმი), 5. პედინსტიტუტი (ქუთაისი), 6. სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი (სოხუმი).

III ჯგუფი

ვაჟები. 1. პედინსტიტუტი (თელავი), 2. პედინსტიტუტი (ცხინვალი), 3. თეატრალური ინსტიტუტი (თბილისი), 4. კონსერვატორია (თბილისი).

ქალები. 1. პედინსტიტუტი (ცხინვალი), 2. პედინსტიტუტი (თელავი), 3. თეატრალური ინსტიტუტი (თბილისი)

მეხოლოდ ტენიანი ბედები

თავისუფალი ჭიდაობა

გუნდური ჩათვლა

I ჯგუფი. 1. უნივერსიტეტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

II ჯგუფი. 1. პედინსტიტუტი (ქუთაისი), 2. პედინსტიტუტი (ბათუმი), 3. პედინსტიტუტი (სოხუმი).

III ჯგუფი. 1. პედინსტიტუტი (ცხინვალი), 2. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი (თბილისი).

პირადი ჩათვლა

უმაჩატესი წონა. 1. ზ. ილურიძე (ფიზკ. ინსტ.), 2. მ. ხოშტარია (პედინსტ. გორი).

მაჩატე. 1. ნ. კორძაია (ფიზკ. ინსტ.), 2. გ. მუზაშვილი (უნივ.).

ქვემსუბუქი. 1. თ. კევლიშვილი (უნივ.).

მსუბუქი. 1. ნ. ხოხაშვილი (პოლიტექნ. ინსტ.), 2. ჯ. ხუბულური (უნივ.), 3. ვ. ბეგანბა (სოხუმი).

ქვესაშუალო. 1. ე. კოშკაძე (უნივ.), 2. თ. ასლამაზიშვილი (პოლიტექნ. ინსტ.), 3. მ. გოგავა (ფიზკ. ინსტ.).

საშუალო. 1. ო. ქიბაროწაშვილი (პედ. ინსტ. გორი), 2. მ. თბილელი (უნივ.), 3. ლ. ჯალაბაძე (პედ. ინსტ. ცხინვალი).

ქვემძიმე. 1. დ. დუგლაძე (სამედიც. ინსტ.), 2. ა. ზურაბიული (უნივ.), 3. ჯ. ბიბეიაშვილი (პოლიტექნ. ინსტ.).

მძიმე. 1. გ. გზირიშვილი (უნივ.), 2. ა. მალანია (სოხუმი).

როგორც ხედავთ, ზოგიერთ წონით კატეგორიაში მხოლოდ ჩემპიონი და II პრიზიორი გამოვლინდნენ. ამის მიზეზია გადამწყვეტ შეხვედრებში ფინალისტთა მასობრივი გამოუცხადებლობა, რამაც უდავოდ დასცა შეჯიბრებისადმი ინტერესი.

სურათზე: პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები წუთშესვენებისას. მარჯვნივ — გუნდის მწვრთნელი მ. კეკელიძე.

ფოტო ი. იუნაევისა.

ვადრაკი

მსოფლიო ჩემპიონის გუნდი III ადგილზე

სტუდენტ-მოჭადრაკეთა ასპარეზობაში 14 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მოასპარეზენი სამ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი.

I ჯგუფში თავი ისახელა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (რ. ჯინჯიხაშვილი, თ. ლომაია, ა. ბოკუჩავა, თ. გიორგაძე, თ. თხელიძე, ც. კახაბრიშვილი), რომელმაც მოუგო გორის პედინსტიტუტს (6:0), უნივერსიტეტს (4:2) და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს (3,5:2,5). გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა საკავშირო თამაშების ზონალურ ასპარეზობაში. II ადგილი დაიკავეს უნივერსიტეტელებმა.

II ჯგუფში ყველას აჯობა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდმა (ტ. ჩხეიძე, რ. სიგუა, გ. ჩიქობავა). II ადგილზე გავიდნენ ბათუმის პედინსტიტუტის მოჭადრაკეები.

უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდის ლიდერმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც ვაჟების პირველ დაფაზე თამაშობდა, 4,5 ქულა მოაგროვა 5-დან, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის გუნდი მხოლოდ III ადგილზე აღმოჩნდა.

III ჯგუფში გაიმარჯვა ცხინვალის პედინსტიტუტის ნაკრებმა (ტ. სართანია, გ. ჯიოევი, ზ. ლალიევა). II იყო თეატრალური ინსტიტუტი, III — კონსერვატორია.

გ. მიხაილოვი.

ვილაპარაკოთ გულახდილად

ამ ცოტა ხნის წინათ ხარკოვში, უძლიერეს წყალბურთელთა შეჯიბრებაზე სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონობისთვის მებრძოლი თორმეტივე გუნდი შეიკრიბა. ასე რომ, ხარკოველი მაყურებლის წინაშე წარსდგა საბჭოთა წყალბურთის მთელი ნაღები. მაგრამ „დინამოს“ საცურაო აუზში გამართული 36 მატჩიდან თითო-ოროლა თუ იყო საინტერესო — დაძაბული, მაღალტექნიკური, კომბინაციური. ყველა დანარჩენმა შეხვედრამ უფერულად, უღიმღამოდ ჩაიარა, მეტოქეები ვერ ავლენდნენ წყალბურთის თანამედროვე ტაქტიკასა და ტექნიკას. ამიტომ იყო, აუზის ტრიბუნებზე, უმრავლეს შემთხვევაში, კანტი-კუნტად რომ იჯდა მაყურებელი.

სპორტის ამ სახეობის სპეციალისტებს, მათ, ვინც პასუხისმგებელია საბჭოთა ნაკრები გუნდის ბედ-იღბლისა, ბევრს უსაყვედურებდნენ საერთაშორისო სარბიელზე ნაკრების წარუმატებლად გამოსვლის გამო. ხარკოვის მატჩებმა გამოაშკარავეს ჩვენი წყალბურთის დაბალი დონე. ცხადია, ამ ძალებით შოფლიოს მოწინავე გუნდებთან ასპარეზობაში მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მივაღწევთ.

ხარკოვში განა მარტო წყალბურთელები ცოდავდნენ. დიდი კვალიფიკაციით ვერც მსაჯები დაიკვეხნიდნენ. ტურნირის მომსახურე მსაჯთა პერსონალს უვიცობას ვერ დაწამებ—ყოველი შთაგანი ზედმიწევნით არის დაუფლებული თამაშის წესებს, მაგრამ რა უსიამოვნო სანახავი იყო მსაჯი, რომელიც მეტოქეთა ერთ მხარეს აშკარად ჩაგრავდა და „თავის“ გუნდს საშუალებას აძლევდა გამარჯვება ეზეიმა. ეს ხდებოდა დაუფარავად, მაყურებელთა, ჩემპიონატის მონაწილე წყალბურთელთა, სპეციალისტთა თვალწინ. მსაჯთა კოლეგია იძულებული იყო გადამწყვეტი ხმები მიეღო: 4 მსაჯი მოხსნეს, ჩამოართვეს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში მსაჯობის უფლება. მაგრამ განა ოთხივე „დამნაშავე“ სამართლიანად დაისაჯა? არა! მსაჯთა კოლეგიამ, შექმნილი სიტუაციის გამო პასუხი რომ არ ეგო, ამიტომ ჩაატარა ეს ჭირურგიული ოპერაცია. „განდევნილებში“, საუბედუროდ, ზოგი პატიოსანი მსაჯიც მოხვდა.

შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა. ახლა ტურნირს ერთი კიეველი, ერთი ლენინგრადელი და რამდენიმე მოსკოველი მსაჯი ემსახურებოდა. როგორც ცნობილია, ჩემპიონატის მონაწილე 12 გუნდიდან 5 იცავდა დედაქალაქის სახელს და მოსალოდნელი იყო, რომ სხვა ქალაქების წყალბურთელებთან ამ გუნდების თამაშებს მოსკოველი მსაჯები „უხელმძღვანელებდნენ“. ასეც მოხდა. აი, მაგალითები: „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — მსაჯი ნ. პროსტიაკოვი; „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი) — ე. სემიონოვი; „დინამო“ (კიევი) — „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — ე. სემიონოვი; „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) — ნ. პროსტიაკოვი და ა. შ.

მსაჯთა კოლეგიაში დამატებით შეიყვანეს: სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ა. ბლიუმენტალი, რომელმაც თავისი სამსაჯო კარიერა 2 წლის წინათ დაამთავრა, როცა ჩვენს ნაკრებ გუნდს ჩაუდგა სათავეში. უფროსი მწვრთნელის ხელახალი დებიუტი მსაჯის როლში, ჩვენდა საუბედუროდ, თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ გუნდების შეხვედრის დროს შედგა. ბლიუმენტალმა ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. საკმარისია ითქვას, რომ უბრალო შეცდომისთვისაც კი 4-მეტრიან დარტყმას ნიშნავდა. ამ მატჩში ასეთი საჯარიმო 7-ჯერ (!) განხორციელდა. ბლიუმენტალი სხვა შეხვედრებშიც ცოდავდა.

ჩვენ ასე გვწამს: მსაჯი მკაცრი, მტკიცე და მოუკერძოებელი უნდა იყოს მაშინაც კი, როცა მისი მშობლიური ქალაქის გუნდი თამაშობს. მოსკოველ მსაჯებს, საერთოდ, არ შეიძლება არაობიექტურობა დასწამო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ ისინი დედაქალაქის გუნდს მეტი ხიმპათიით ეკიდებოდნენ. და, საერთოდ, მოსკოველებთან მატჩებში მეტოქე გუნდები ეშვის თვალით უყურებდნენ მოსკოველი მსაჯის ყოველ მოქმედებას, ნერვიულობდნენ, შიუტევებელ შეცდომებს უშვებდნენ და, რასაკვირველია, ხშირად მარცხდებოდნენ კიდეც.

როგორც ცნობილია, წლევანდელი ჩემპიონატის II წრის I ტური ლვოვსა და თბილისში გაიმართება. ჯერ არ ვიცით, ამ ორ ქალაქში რომელი გუნდი გამოვლენ. ეს რომ ხარკოველი გარკვეულიყო, სადაც თორმეტივე გუნდი იყო თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად, მონაწილეებს წინასწარ ეცოდინებოდათ, რომელ მეტოქეებთან ექნებოდათ საქმე I ტურში. მაგრამ მსაჯთა კოლეგია რატომღაც ასე არ მოიქცა და საკითხს, ალბათ, მოსკოვში, „ვიწრო“ წრეში გადაწყვეტს.

შეჯიბრების მოთავეებმა ერთი ღონისძიებაც ვერ ჩაატარეს მაღალ დონეზე. ხარკოველი გადაწყდა ადგილობრივ გუნდსა და ვეტერან წყალბურთელებს შორის ექსპერიმენტული მატჩის ჩატარება. საქმე ისაა, რომ წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციაში წარადგინა წინადადება თამაშის წესებში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ. რას წარმოადგენს ეს ცვლილებები? გუნდმა 45 წამის განმავლობაში მეტოქის კარში ბურთის ტყორცნით უნდა დაამთავროს წამოწყებული იერიში. თუ აქამდე აუზიდან გაძევებულ წყალბურთელს თამაშის განახლების უფლება კარის აღებამდე არ ჰქონდა, ახალი წესით იგი მხოლოდ ერთწუთიანი „შეუვნებით“ ისჯება; მოთამაშეთა შეცვლა ახლა შესვენების დროს ხდება. ახალი წესით კი მწვრთნელს ნება ეძლება ეს თამაშის მსვლელობაში გააკეთოს.

მოსალოდნელი იყო, რომ ახალი წესებით თამაში დიდ ინტერესს გამოიწვევდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ვეტერანები ვერ ვეტერანობდნენ, ახალგაზრდა ხარკოველი წყალბურთელები სუფთად თამაშობდნენ და მატჩმა დაკარგა საერთო ინტერესი. ამას ისიც დაემატა, რომ წინათ მოსკოვის „დინამოს“ მეკარეს, ამჟამად საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს გ. ხარებოვს, რომელიც მხოლოდ 5 წუთით იცავდა ვეტერანთა კარს, მატჩის შემდეგ სამედიცინო პერსონალის თანამშრომლები ვალერიანის წვეთებით ასულიერებდნენ. სხვა ვეტერანებიც არ იყვნენ უკეთეს დღეში. ასეთი ულიმღამო და სასაცილო ფინალი ჰქონდა ექსპერიმენტულ მატჩს.

ახლა თბილისის „დინამოს“ თამაშის შესახებ. საქართველოს უძლიერესმა გუნდმა პირველი წრის I და II ტურებში 6-6 ქულა მოაგროვა და ახლა გათამაშების ცხრილში V ადგილზეა. მართალია, მთავარი მოვლენები ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ დინამოელებმა ტყუილუბრალოდ გაასაჩუქრეს სულ ცოტა 5 ქულა, აქედან 2 — სარატოვში, სადაც კიევის თანაკლუბელებთან მატჩში საგრძნობლად დაწინაურდნენ (3:0) და მაინც „მოახერხეს“ წაგება — 4:5. დაახლოებით ასევე მოხდა ხარკოვშიც. ჯერ იყო და ლენინგრადის „ბალტიკასთან“, როცა ანგარიში ლენინგრადელებს მიჰყავდათ (6:5), ო. მიმინოშვილმა შეხვედრის ბოლო წუთზე 4-მეტრიანი საჯარიმო ვერ გამოიყენა და 1 ქულა დაიკარგა. თითქმის იგივე განმეორდა მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში. IV პერიოდის ბოლოს წინ იყვნენ მოსკოველები — 2:1. შემდეგ მიმინოშვილს უხეშად მოეკენენ და დაზარალებულმა კვლავ აიცილა კარს 4-მეტრიანი საჯარიმო. მოსკოვის „ტორპედოსთან“ დინამოელებს ხომ ნამდვილად მოსაგები მდგომარეობა ჰქონდათ. თამაში მათ მიჰყავდათ ანგარიშით 3:1. მაგრამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაცვაში, და „ტორპედომ“ შეძლო დამარცხებისგან თავის დაღწევა — 4:4.

ხარკოვში აშკარად შეიმჩნეოდა, რომ დინამოელები კრიტიკულ მომენტებში ვერ ახერხებდნენ ძალთა მობილიზებას, ანგარიშში რომ დაწინაურდებოდნენ, რატომღაც მოუშვებოდნენ და ასპარეზს მეტოქეებს უთმობდნენ. ეს უკანასკნელნი კარგად სარგებლობდნენ დინამოელთა ამ „ჯენტლმენური ჟესტით“. ჩვენმა მეკარეებმაც ვერ ითამაშეს ოსტატურად. რა მანძილიდანაც უნდა ეტყორცნათ ბურთი მეტოქეებს, ჩვენი კარი მუდამ საფრთხეში იყო. არც დაცვასა და თავდასხმაში იყო ყველაფერი რიგზე: ეს რგოლები ბევრ შეცდომას უშვებდნენ.

II წრიდან თბილისის „დინამო“ საგრძნობლად გაძლიერდება. გუნდში კვლავ ვახსენებთ ლ. გოგოლაძეს და გ. ჩიქვანაიას. „დინამომ“ ჩვენს დედაქალაქში ქულათა მაქსიმუმი უნდა დააგროვოს, რომ სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესოს. გუნდმა აქედანვე დაძაბულად და ნაყოფიერად უნდა ივარჯიშოს, რომ წლეულს კვლავ მოხვდეს საპრიზო ადგილზე.

სექტემბერში განახლდება წლევანდელი ჩემპიონატის მატჩები. მანამდე კი შევიხვენოთ, წყალბურთის თბილისელო მოყვარულებო და თვალყური ვადევნოთ საერთაშორისო შეჯიბრებებს, სადაც ჩვენი გუნდიც გამოვა.

ზ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ხარკოვი — თბილისი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა I წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა ვფფ (მოსკოვი)	11	10	—	1	43—26	20
მოსკოვის უნივერსიტეტი	11	8	1	2	42—28	17
„ტორპედო“ (მოსკოვი)	11	6	4	1	42—27	16
„დინამო“ (ლვოვი)	11	6	2	3	48—34	14
„დინამო“ (თბილისი)	11	5	2	4	44—41	12
„ბალტიკა“ (ლენინგრადი)	11	4	3	4	37—37	11
„დინამო“ (კიევი)	11	3	5	3	34—35	11
„დინამო“ (მოსკოვი)	11	5	1	5	28—29	11
„შრ. რეზერვები“ (მოსკოვი)	11	2	2	7	32—40	6
კაფ (ბაკო)	11	2	2	7	32—44	6
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	11	—	5	6	27—51	5
„ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი)	11	1	1	9	39—53	3

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის ცენტრალური მოვლენა იყო შარშანდელი ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის მატჩი უკრაინის დედაქალაქში: „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (მოსკოვი). ამ ორი გუნდის შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო ტურის მასშტაბებით.

და აი, კიეველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი საფუძვლიანი პრეტენზიები ჩემპიონის „ოქროზე". ამ მატჩს ტელევიზიით უყურებდა ყველა, ვისაც რაიმე კავშირი აქვს ფეხბურთთან და მათთვის ნათელი იყო დინამოელთა სრული ჰეგემონია 90 წუთის მანძილზე. მასპინძელთა თამაში შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო. კიდევ მეტიც: ტურიანჩიკისა და ბიშევეცის მიერ გატანილი 2 „შშრალი" გოლი მხოლოდ ნაწილია კიევის „დინამოს" თვალსაჩინო უპირატესობისა.

დიდი ანგარიშით პირველი გამარჯვება ჩაიწერა ბაქოს „ნეფტჩანიკმა" ძალზე პრინციპულ მატჩში როსტოვის არმიელებთან. ტუაფეის, ს. მელქუმოვისა (2) და გაჯიევის გოლებს როსტოველებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ესკოვი).

ცსკა-სა და „ზენიტის" შეხვედრაში არმიელთაგან ბურთები გაიტანეს პოლიკარპოვმა და ვარგამ, საპასუხო — ბურჩალკინმა, „შახტიორისა" და „ჩერნომორეცის" თამაშში—პანინმა („შახტიორი") და მოსკალენკომ, „კრილია სოვეტოვისა" და ოდესის არმიელთა გუნდის მატჩში — ფიოდოროვმა („კრილია სოვეტოვი") და პროსიკოვმა. აღსანიშნავია, რომ ამ თამაშში ოდესელთა მეკარე რაზინსკიმ აიღო ფიოდოროვის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი საჯარიმო.

ერთადერთი გუნდი, რომელსაც „ა" კლასის I ჯგუფში არა აქვს არც ერთი ქულა, ესაა მოსკოვის „ლოკომოტივი". რკინიგზელებმა განვლილ ტურში დამარცხება განიცადეს მინსკში. აქ მასპინძლებმა გაიტანეს 2 ბურთი (კაბერსკი, არზამასცევი), მოსკოველებმა კი მხოლოდ 1 (კოზლოვი).

გუშინ

მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და „პახტაკორს" შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ორივე ბურთი გაიტანეს დინამოელებმა: გლოტოვმა (თავის კარში) და მასლოვმა.

სადღეისოდ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია კიეველი ბიშევეცი — 6 ბურთი. 5-5 გოლი აქვთ გატანილი მის თანაკლუბელ პარკუიანს და ბაქოელ მელქუმოვს. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს კიეველებმა (21), ხოლო მათმა მეკარემ რუდაკოვმა გაუშვა ყველაზე ნაკლები — 1.

„ჯ" I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	7	6	1	0	21—1	13
„სპარტაკი" (მოსკოვი)	6	5	1	0	10—2	11
„არარატი" (ერევანი)	7	4	2	1	9—3	10
„ნეფტჩიანიკი" (ბაქო)	7	3	4	0	9—3	10
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	7	2	5	0	6—4	9
„ტორპედო" (მოსკოვი)	7	3	2	2	11—8	8
„დინამო" (მოსკოვი)	7	3	1	3	6—5	7
ასკ (როსტოვი)	6	3	1	2	8—10	7
„დინამო" (თბილისი)	6	2	2	2	6—4	6
„ტორპედო" (ქუთაისი)	7	3	0	4	10—10	6
„აპარატი" (ალმა-ათა)	6	2	2	2	5—6	6
ცსკა	6	1	4	1	5—6	6
„შახტიორი" (დონეცკი)	7	2	1	4	5—10	5
„დინამო" (მინსკი)	7	2	1	4	7—13	5
„ზენიტი" (ლენინგრადი)	7	2	1	4	4—11	5
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	6	1	2	3	4—8	4
ასკ (ოდესა)	6	0	3	3	2—8	3
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	6	0	3	3	3—10	3
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	6	0	0	6	3—12	0

უფლებაყრილი ათლეტები და „ვახტანგური"

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში რესპუბლიკის ათლეტთა ყველაზე საპასუხისმგებლო ტურნირია. იგი, როგორც წესი, სარკესავით ასახავს ჩვენი მუშაობის პოზიტიურ თუ ნეგატიურ მხარეებს. ბუნებრივია, რომ მე, შეჯიბრების მთავარ მსაჯს, მთელი რიგი შენიშვნები დამიგროვდა, რაც მსურს მკითხველს გავანდო. ცხადია, საუბარი ყველასთვის ერთნაირად სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ნაკლოვანებებს მხილება უნდა, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში არ განმეორდეს.

პირველი შენიშვნა ჩემპიონატის, უფრო სწორად კი იმ ორი ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს ეხება, რომლებიც ერთიმეორეს მიჰყვა. მათგან ერთი იყო რესპუბლიკის ჩემპიონატი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მეორე კი — სტუდენტთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში.

ისმის კითხვა: რა საჭირო იყო ორი ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების გადაბმა? რატომ არ შეიძლებოდა, საქართველოს პირველობის მონაწილეთათვის თუნდაც 2 ან 3-დღიანი შესვენება მიგვეცა? ჩატარებულიყო ჯერ სტუდენტთა ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყოთ ბრძოლა „კლასიკოსებს". გამოსავალი, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ პირველობათა ჩამტარებელმა ორგანიზაციებმა, ერთის მხრივ — საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ, მეორეს მხრივ კი — „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ, ვერაფრით ვერ გამონახეს საერთო ენა და ამით მხოლოდ მოჭიდავეებს გაუწიეს ბოროტი სამსახური (დამეთანხმებით, რომ ზედიზედ ორ შეჯიბრებაში გამოსვლა არავისთვის არ არის იოლი).

დავუშვათ, რომ კომპრომისული გზის მონახვა, მართლაც, შეუძლებელი იყო და ტურნირებიც, ასე ვთქვათ, „ვახტანგურად" უნდა ჩაგვეტარებინა. რატომ ვერ ვიხილეთ სტუდენტთა ასპარეზობაში ჩვენი უძლიერესი სტუდენტი მოჭიდავეები?

ნურავინ იტყვის, რომ რ. რურუას, ძმებს რ. და კ. ღუღუნაშვილს, ო. თარგამაძეს ან ვ. ხანდოლიშვილს აწყენდა სტუდენტთა სპარტაკიადაში მონაწილეობა, იმ დროს, როცა სსრ კავშირის ზონალური პირველობა კარსაა მოსდგარი. პირიქით, ზოგიერთი უძლიერესი მოჭიდავე რესპუბლიკურ ჩემპიონატშიც კი არ გამოვიდა იმ მოტივით, რომ თავისი მშობლიური სასწავლებლის ღირსება დაეცვა.

ერთი სიტყვით, ზემოჩამოთვლილი სპორტსმენები 8 მაისს, დილით ადრე ასაწონად განოცადდნენ და პირველობაში მონაწილეობისთვის საჭირო ყველა ფორმალური ინსტანცია გაეარა. და ტყუილუბრალოდ! გამოირკვა, რომ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია სტუდენტებად ირიცხებიან, „ბურევესტნიკის" მიერ მოწყობილ შეჯიბრებაში „უფლებაყრილი არიან". მიზეზი? ინებეთ: სხვა სპორტსაზოგადოებათა წევრები ყოფილან. თურმე იმისთვის, რომ ახალგაზრდა მივიჩნიოთ სტუდენტად, სრულიადაც არ არის საკმარისი უმაღლეს სასწავლებელში სწავლა. იგი, თურმე ნუ იტყვით, აუცილებლად „ბურევესტნიკის" წევრიც უნდა გახდეს.

უცნაური, ძალიან უცნაური ლოგიკაა, თუნდაც იმიტომ, რომ სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადაში სწორედ მათ (ვიმეორებ მათ და არა სხვას) მოუწევთ „ბურევესტნიკის" ღირსების დაცვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ვიწრო საწყისებ ინტერესები მეორე პლანზე გადადის და მთავარი ყურადღება რესპუბლიკის ინტერესების დაცვას ექცევა. და თუ ეს ასეა, რატომ ბოლომდე პრინციპული არ ვართ? მით უმეტეს, რომ სტუდენტებს ოფიციალურად აქვთ ნება დართული ნებისმიერი სპორტსაზოგადოების წევრები იყვნენ.

პირადად მე ასეთი აზრისა ვარ: ნუ ჩავრევთ სპორტსმენებს საუწყებო კინკლაობაში. მათ ისედაც ჭყოფნით საფიქრალი და სანერვიულო. მოჭიდავეს, პირველ ყოვლისა, ვარჯიშისა და შეჯიბრებაში მონაწილეობის პირობები უნდა შევუქმნათ, თუ კი, რა თქმა უნდა, მის დაოსტატებაზე ვფიქრობთ.

რა შთაბეჭდილება დატოვა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა საერთოდ? გულახდილად გითხრათ, არც ისე სახარბიელო. თუ მონაწილეთა საერთო რიცხვს მოწინავე ათლეტებს გამოვაკლებთ, იგი, ფაქტიურად, ახალბედების ტურნირს წარმოადგენდა. სპორტსმენების დაბალი ტექნიკური და უკმარი ფიზიკური მომზადება, უაღრესად ვრთფეროვნული და შაბლონური ტაქტიკა, — აი, რა გვიჩვენა ამ შეჯიბრებამ.

და მაინც მსურს რამდენიმე ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭიდავის გამოყოფა. პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელო ქვემსუბუქი წონის ათლეტი ო. ტატიშვილი და ქვესაშუალო წონის წარმომადგენელი რ. ღუღუნაშვილი. ტატიშვილი ჯერ 20 წლისაც არ არის, მაგრამ მეტად საზრიანია. ტატიშვილისა ბევრი რამ მოაწონს, განსაკუთრებით კი მოძრაობის ეკონომიურობა და მეტოქეთა შეცდომების მიმართ უჩვეულო მგრძნობელობა. ეს ახალგაზრდა ათლეტი ურთულეს სიტუაციებშიც კი არ იბნევა.

ღუღუნაშვილი უფრო სხვა სტილის მოჭიდავეა. მასში ჰარმონიულად არის შერწყმული ტექნიკა და ფიზიკური ძალა. თანაც, ღუღუნაშვილს, რომ იტყვიან, არც სპორტული სიმრავლე აკლია. იცით, რას ნიშნავს ეს?!

ქების ღირსია გ. ჭელიძეც, მით უმეტეს, რომ მან ზედა წონაში ვადანაცვლა და მაინც II საპრიზო ადგილი დაიჩაკუთრა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჭეიშვილმაც, რომელმაც მთელი ტურნირი თანაბრად ჩაატარა. უნდა გამოვყოთ მცირე წონის პრიზიორთა ტრიოდ: ხიორიძე, გოცირიძე და ღუღუშაური.

ეს არის და ეს. ჩემპიონატში კი რამდენი მოჭიდავე მონაწილეობდა!

აი, ერთ-ერთი მათგანი, ახალგაზრდა სპორტის ოსტატი თ. ტყემალაძე. მე იგი პერსპექტიულ მოჭიდავედ მიმაჩნია და სწორედ ამიტომ უნდა ვთქვა მის არასპორტულ საქციელზე. ტყემალაძემ ფინალში 2 ბრძოლა წააგო. ამით განაწყენებულმა (საინტერესოა, ვის აბრალებს იგი თავის მარცხს?) ჩემპიონატის საზეიმო დახურვაში მონაწილეობა არ მიიღო. დამარცხება, რა თქმა უნდა, არავისთვის არ არის სასიხარულო, მაგრამ ახალგაზრდა ოსტატმა უნდა იცოდეს, რომ ვერასოდეს მიაღწევს დიდ წარმატებას, თუ პრინციპიობას არ დაანება თავი. ნამდვილი სპორტსმენი სწორედ ის არის, ვინც მარცხსაც ვაუკაცურად შეხვდება. ტყემალაძეს ვურჩევ, უფრო კრიტიკული თვალით შეხედოს თავისი წარუმატებლობის მიზეზებს (თუ მას III საპრიზო ადგილი, საერთოდ, წარუმატებლობად მიაჩნია).

ქუთაისელი ს. კარაზანაშვილი ურიგო მოჭიდავე როდია. მაგრამ ამ ჩემპიონატში გამოავლინა თვისება, რომელიც წარმატების მიღწევაში მუდამ ხელს შეუშლის. ალბათ მიხვდებით, რომ მხედველობაში მაქვს მისი შეხვედრა რურუასთან. რომან რურუასთან გამარჯვებას მას არავინ სთხოვდა (სხვათა შორის, ეს გაცილებით უფრო მალალი წონის მოჭიდავეებსაც გაუჭირდებათ), მაგრამ ასეთი კაპიტულაცია სამარცხვინოა ახალგაზრდისთვის, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ოსტატის მაღალი წოდება მიიღო. კარაზანაშვილს იოტისოდენა წინააღმდეგობაც არ გაუწევია მეტოქისთვის. მან, ფაქტიურად, ბრძოლა დაწყებამდე აღმართა თეთრი ალამი. მაჯთა კოლეგიამ იგი სამართლიანად მოხსნა შეჯიბრებიდან, როგორც უნებისყოფო სპორტსმენი.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა გუნდური პირველობისთვის ბრძოლის მსვლელობაზე. თბილისელთა გამარჯვება ტურნირში კანონზომიერია. ერთგვარ სასიამოვნო სიურპრიზს წარმოადგენდა, რომ ბათუმის მოჭიდავეებმა II ადგილი დაიკავეს (მწვრთნელი—სპორტის ოსტატი ი. ტუღუში). ისეთი საჭიდაო ტრადიციების მქონე ქალაქისათვის, როგორიც ქუთაისია, ბრინჯაოს პრიზიორობა სასურველი არ უნდა იყოს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქუთაისელები ამ „უსიამოვნო" ადგილს თავს დაალწევენ.

გ. კარტოზია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

მოგვყავს ტექნიკური შედეგები:

გუნდური ადგილები: 1. თბილისი, 2. ბათუმი, 3. ქუთაისი.

პირადი ადგილები:

უმსუბუქესი წონა. 1. გ. აფხაზავა (ბათუმი), 2. ვ. ხარაზოვი (თბილისი), 3. მ. დოხტურაშვილი (ქუთაისი).

მსუბუქე. 1. გ. ჭეიშვილი (ქუთაისი), 2. ზ. მირიანაშვილი, 3. ა. ხარაბაძე (ორივენი — თბილისი).

ქვემსუბუქე. 1. ვ. კანკავა, 2. ო. ტატიშვილი (ორივენი — თბილისი), 3. პ. ჯოშვილი (რუსთავი).

მსუბუქე. 1. რ. რურუა, 2. დ. ანდღულაძე (ორივენი — თბილისი), 3. რ. ბროლიძე (რუსთავი).

ქვესაშუალო. 1. რ. ღუღუნაშვილი, 2. ნ. ბურდილაძე (ორივენი — თბილისი), 3. დ. სიხარულიძე (ქუთაისი).

საშუალო. 1. თ. მაჭავარიანი, 2. გ. ჭელიძე (ორივენი — თბილისი), 3. ო. ტყემალაძე (ქიათურა).

ქვემძიმე. 1. ნ. ძიმისტარაშვილი, 2. ა. პარლაგაშვილი, 3. თ. ქურციკიძე (სამივენი — თბილისი).

მძიმე. 1. ი. ხიორიძე, 2. ე. გოცირიძე, 3. ე. ღუდუშაური (სამივენი — თბილისი).

„ჯ" II ჯგუფი

13 მაისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

0:0. ასეთი ანგარიში იქნა ფიქსირებული შემდეგ მატჩებში: „დინამო" (ტალინი) —„სპარტაკი" (ნალჩიკი), „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (ციროვაბადი), „როსტსელმაში" (როსტოვი) — „თერგი" (გროზნო), „სპარტაკი" (გომელი) — „შირაკი" (ლენინაკანი). „ტექსტილშჩიკმა" (ივანოვო) მოუგო სტავროპოლის „დინამოს"— 4:1, ხოლო ყაზანის „რუბინმა" — რიგის „დუბავას" — 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 მაისისათვის

„ყუბანი" (კრასნოდარი)	6	4	2	0	13—2	10
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	6	3	3	0	10—4	9
„ვალგირისი" (ვილნიუსი)	7	4	1	2	9—3	9
„დინამო" (ციროვაბადი)	7	2	4	1	5—4	8
„რუბინი" (ყაზანი)	6	3	2	1	5—4	8
„თერგი" (გროზნო)	7	2	4	1	5—5	8
„ლოკომოტივი" (თბილისი)	7	1	5	1	6—6	7
„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი)	6	2	3	1	3—3	7
„დინამო" (სტავროპოლი)	7	3	1	3	6—10	7
„შირაკი" (ლენინაკანი)	7	1	4	2	7—7	6
„დინამო" (ბათუმი)	6	2	2	2	4—6	6
„როსტსელმაში" (როსტოვი)	7	1	4	2	4—6	6
„დაუგავა" (რიგა)	7	1	3	3	8—8	5
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	7	1	3	3	4—9	5
„დინამო" (ტალინი)	6	1	2	3	4—6	4
„ბალტიკა" (კალინინგრადი)	7	0	4	3	3—9	4
„სპარტაკი" (გომელი)	6	0	3	3	1—7	3

საქართველოს პირველობა

I ჯგუფის II ქვეჯგუფი — მდგომარეობა 11 მაისისათვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბარეჯი" (საგარეჯო)	4	3	1	0	7—2	7
„კოლმეურნე" (მარნეული)	4	2	2	0	6—2	6
„ნადიკვარი" (თელავი)	4	2	1	1	2—1	5
„მეტალურგი" (რუსთავი)	4	2	0	2	8—7	4
„ბახტრიონი" (ახმეტა)	3	2	0	1	4—4	4
„არაგვი" (მცხეთა)	4	1	2	1	3—3	4
„სამცხე" (აწყური)	4	1	2	1	3—4	4
„ლურუჯი" (ყვარელი)	4	1	2	1	2—3	4
„შირაქი" (წითელწყარო)	3	1	1	1	9—4	3
„თრიალეთი" (წალკა)	3	0	2	1	0—0	2
„ჟერეთი" (ლაგოდეხი)	3	1	0	2	3—4	2
მუკუზნის სპბ. მეურნეობა	3	0	1	2	1—9	1
„არაგვი" (დუშეთი)	4	0	1	3	3—10	1

II ზონა

„ცისარტყელა" (თბილისი)	4	3	0	1	4—3	6
„ზემო ქართლი" (ხაშური)	4	2	1	1	15—5	5
„კოლხეთი" (ხობი)	3	2	1	0	7—3	5
„ლაითური" (მახარაძე)	3	2	1	0	3—0	5
„სულორი" (ვანი)	3	1	2	0	5—4	4
„მშენებელი" (ქიათურა)	4	2	0	2	7—8	4
„სამგურალი" (წყალტუბო)	3	1	1	1	3—3	3
„კოლხიდმშენი" (ფოთი)	4	1	1	2	5—6	3
„სალხინო" (გეგეჭკორი)	3	1	0	2	2—4	2
„სპირმე" (მაიაკოვსკი)	3	0	2	1	3—5	2
„აერო" (გალი)	2	0	1	1	1—1	1
„ზიხურა" (საჩხერე)	4	0	0	4	2—14	0



ამჟამად შიმდინარეობს ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირი, სადაც კარგი თამაშით გამოიჩინა თავი ტყიბულის „მეშახტის" მეკარე ნ. ბუაძემ.

სურათზე: ნ. ბუაძე იღებს ძნელ ბურთს.
ფოტო ი. იუნაევისა.

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **სტრასბურგი, 13 მაისი.** უნგრეთის ეროვნული გუნდის ფეხბურთელები აქ შეხვდნენ ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს და დაამარცხეს იგი. — 6:2 (4:1). სტუმართაგან ბუთრები გაიტანეს ფარკაშმა (4), ნადმა და ბენემ.

● **მოსკოვი, 13 მაისი.** წარმატებით გაიარა წიდიან ბილიკზე მოტორბოლაში მსოფლიო პირველობის წინასწარი ეტაპი 8 საბჭოთა სპორტსმენმა (13-დან). ესენი არიან: გ. კურილენკოვი (გაიმარჯვა იუგოსლავიაში გამართულ შეჯიბრებაში) და ვ. ტროფიმოვი (ამავე შეჯიბრებაში IV იყო), „ოქროს ჩაფხუტის“ მფლობელი ფ. შაიხუროვი და ვ. კორნეევი (უნგრეთში გამართული შესარჩევი შეჯიბრებებიდან), ბ. სამოროდოვი და ვ. სოკოლოვი (გდრ-ში გამართული ასპარეზობიდან). ძლიერი წვიმის გამო გფრ-ში შეჯიბრება მე-6 ცდიდან შეწყდა. გადაწყდა შემდგომი ეტაპისთვის 8 სპორტსმენი შეერჩიათ წინა ცდების შედეგების მიხედვით. I ადგილზე გავიდა პოლონელი ა. მაი. ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონი გ. კადიროვი მესამეა, ხოლო წიდიან ბილიკზე წინა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი ი. პლეხანოვი — VI. 22 მაისს, სარატოვის ოლქის ქალაქ ბალაკოვოსა და პოლონეთის ქალაქ რიბნიკში გაიმართება შესარჩევი შეჯიბრებების II ეტაპი.

საპორო — ოლიმპიური დედაქალაქი

სპორტული მოვლა-დამოწმება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1972 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქად საპორო გამოაცხადა. ამ ამბავმა დიდად აალელვა იაპონიის უველაზე ჩრდილოეთი კუნძულების — ჰოკაიდოს დედაქალაქის 800 ათასი მცხოვრები. 27 აპრილს მთელი ქალაქი ზეიმობდა. ავტობუსები და ტრამვაის ვაგონები ეროვნული ალმებით მორთეს, მანქანებზე რეპროდუქტორები იდგა და მოსახლეობას ამ სასიხარულო ამბავს აუწყებდა.

საპოროსთვის სპორტი ახალი ხილი არ გახლავთ. 1940 წელს სწორედ აქ უნდა ჩატარებულიყო ზამთრის მორიგი ოლიმპიადა, მაგრამ ეს განზრახვა მეორე მსოფლიო ომმა ჩაფუშა. 1954 წელს საპოროში შედგა მოციგურე ვაუთა მსოფლიო ჩემპიონატი. ეს ასპარეზობა ჩვენი სპორტსმენების ტრიუმფით დამთავრდა: ბ. შილკოვი დაფნის გვირგვინით შეამკეს, ო. გონჩარენკომ და ე. გრიშინმა კი სამშობლოში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩამოიტანეს.

საპოროს მესვეურნი მთლად ჩაეფლნენ ოლიმპიადის საქმეებში. აღმოჩნდა, რომ ამ ასპარეზობისთვის ოლიმპიური სოფლის მოწყობას, სპორტულ ნაგებობათა და გზების შეკეთება-მშენებლობას 3,6 მილიარდი იენი (თორმეტმილიონნახევარი დოლარი) სჭირდება.

ოლიმპიური სოფელი შუა ქალაქიდან 7 კილომეტრზეა. იგი სულ 1500 სპორტსმენს მიიღებს. იქვე ახლოს განლაგდება 30 ათასი მაყურებლისთვის გათვალისწინებული საციგურაო სტადიონი და ყინულის სასახლე, სადაც ჰოკეისტები და ფიგურული სრიალის ოსტატები იასპარეზებენ. სასახლე 8000 სპორტსმოყვარულს დაიტევს. სოფელს მოთხილამურეთა, ტრამპლინიდან მხტომელთა, ორჭიდელთა და სლალომისტთა სარბიელთან ახალი, 30-კილომეტრიანი სამანქანო გზა დააკავშირებს.

უკვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ, სახელდობრ, რომელ თვეში დაიწყება და რა ხანს გასტანს ოლიმპიადა. ადგილობრივი სინოპტიკოსების აზრით, უმჯობესია, იგი 10-19 თებერვალს, ან 3-12 მარტს ჩატარდეს.



კვლავ რაიმონ კოპა!

საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატის 34-ე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონმა და მიმდინარე გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა „ნანტმა“. მან ნიმში დაამარცხა ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი — 2:1.

ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ვალანსიენი“ — „რუანი“ 1:1, „სენტ-ეტიენი“ — „ბორდო“ 2:1, „რენი“ — „ლანი“ 4:1, „სოშო“ — „ანჟე“ 3:2, „სტრასბურგი“ — „სტადფრანსე“ 4:0, „კანი“ — „ლიონი“ 0:0, „ნედანი“ — „ლილი“ 1:0, „ნიცა“ — „რედ-სტარი“ 3:2.

სნაიპერთა სიას 32 გოლით ლიდერობს „ნანტის“ ცენტრალური თავდამსხმელი გონდე.

აი, ლიდერთა ხუთეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ნანტი“	34	74:32	54
„ვალანსიენი“	34	50:39	46
„ბორდო“	34	72:34	45
„სენტ-ეტიენი“	34	75:56	41
„ტულუზა“	33	53:43	37

II ჯგუფში კარგად თამაშობს საფრანგეთის ფეხბურთის ყოფილი ბურჯი — „რეიმსი“, რომელშიც კვლავ გამოირჩევა სახელმოხვეჭილი რ. კოპა. სწორედ ამ ვირტუოზის წყალობით ლიდერობს „რეიმსი“, რომელსაც 40 ქულა და I ლიგაში დაბრუნების ნაღდი შანსი აქვს.



სამხრეთაფრიკელი რეგბისტი, ნახევარმცველი ნ. სმიტი ყინულზე დადგა უელსელ გარემარბ ე. ჯონსთან შეთანხმების შემდეგ „ფრი ტეტრ სტადიუმზე“ (ბლუმფონტეინი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გამართული მატჩის დროს. მასპინძელმა ქ. რეინეკემ საუელსში წაავლო ხელი ჯონსს, ხოლო მესამე სამხრეთაფრიკელი მოთამაშე ტ. ჯოროანი თანაგუნდელთა დასახმარებლად გამობის.

აი, ასეთი „მწვავე“ მომენტი ბევრი იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და უელსის რეგბისტთა მატჩში. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 14:6.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის საგენტოსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სტატისტიკა ციხეზე სტადიონებზე

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘ

ზღვებისა და ოკეანეთა ფსკერს ძველთაგანვე მდუმარების სამყაროს უწოდებენ. ჩვენს დროში კი აქვალანგიანი შეიარაღებული ადამიანები მამაცურად უტევენ ნეპტუნის ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მიუდგომელ სამეფოს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში სპორტის არც ერთი სახეობა არ გავრცელებულა ისე სწრაფად, როგორც წყალქვეშა ცურვა. სადღეისოდ ჩვენს ქვეყანაში ამ სახეობით 70 ათასი მოყვარულია გატაცებული, ხოლო სპორტის ოსტატთა რიგები თითქმის 50 კაცს ითვლის. ეს რამდენიმე წელიწადია წყალქვეშა ცურვაში საკავშირო ჩემპიონატები ტარდება. საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით ცდიან ძალას დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. წყალქვეშა სპორტი შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის სპარტაკიადის პროგრამაში.

რა პერსპექტივები აქვთ აქვალანგისტებს მიმდინარე სეზონში? ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის ამ შეკითხვას პასუხი გასცა სსრ კავშირის წყალქვეშა სპორტის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, მოსკოველმა ინჟინერმა, სპორტის ოსტატმა ვ. ეფიმოვმა.

— ის დრო წავიდა. წყალქვეშა ცურვის პოპულარიზაციისთვის რომ ვზრუნავდით. ახლა ამ აბეობის სექციები ჩვენი ქვეყნის ასობით დიდ თუ პატარა ქალაქში მუშაობს. თითოეული ატარებს შეჯიბრებებს, ახალგაზრდა ენთუზიასტებით ავსებს წყალქვეშა სპორტსმენთა რიგებს.

ახლა რაც შეეხება მომავალ სტარტებს: აპრილის დასაწყისში ცსკა-ს აუზში უწყებებისა და სპორტსაზოგადოებების უძლიერეს გუნდთა ტრადიციული შეხვედრა გაიმართა. მოსკოვიდან გაუმჯობესება მოახერხა. პირადად მე ყველაზე კარგი დრო (36,0 წამი) მქონდა. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, იმედი ვიქონიოთ, რომ საზაფხულო შეჯიბრებებში მაღალი შედეგებისა და ახალი სპორტული მიღწევების მოწმენი შევიქნებით. სიტყვამ მოიტანა და გაგახსენებთ, რომ პროგრამა მრავალფეროვანია — არა მარტო გაცურვა, ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და მაგნიტოგორსკის მოცურავეებმა. ეს ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი საზამთრო პერიოდის დასკვნითი აკორდი გახლდათ. უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ დამაჯერებლად და მხიარულად აჟღერდა. შეჯიბრებებმა წყალქვეშა ცურვის მოყვარულთა კარგი მომზადება გვიჩვენა. 50-მეტრიან გაცურვაში ფარფლების, ნიღბისა და აპარატის წყალქვეშ წინასწარი ჩაცმით ასპარეზობის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა შარშანდელი საუკეთესო შედეგი, არამედ სხვადასხვანაირი წყალქვეშა ვარჯიშები, რაც სწრაფ ორიენტირებას, ჩქაროსნულ ჩვეულებს, წყალქვეშა რთული ამოცანების შესრულებას მოითხოვს.

სპორტული ზაფხულის ყველაზე დიდ შეჯიბრებებში უნდა დავასახელო სსრ კავშირის პირველობა, შეიარაღებული ძალების, პროფკავშირების, უწყებებისა და სპორტსაზოგადოებების ჩემპიონატები. მესამედ მივიღებთ მონაწილეობას ბრუნო როგის თასის გათამაშებაში, რომელიც იტალიაში ჩატარდება, შემდეგ გველის დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ჩეხოსლოვაკიაში, რაც, ფაქტიურად, ევროპის ჩემპიონატს წარმოადგენს. იქ 20 ქვეყნის წარგზავნილები შეიკრიბებიან.

ახალი სეზონის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ჩვენი სპორტის გეოგრაფიის გაფართოება. ყირიმში და ნოვოროსიისკთან მდებარე ტრადიციულ, უკვე ცნობილ აქვატორიებს რამდენიმე ახალი საასპარეზო მიერება) დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებს, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატებსაც ატარებს, მაგრამ ეს ღონისძიებები მხოლოდ წყალქვეშა ნადირობას ითვალისწინებს. ჩვენი წინადადება გაცილებით ფართო და საინტერესოა: ჩატარდეს ფაქტიური მრავალჭიდი, რომელშიც შედის ყვინთვა, რთულ პირობებში წყალქვეშა მოქმედება, რთული იარაღით მუშაობა და წყალქვეშა ორიენტირება. საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამუშავებული ეს კომპლექსი ჩვენ მრავალი ქვეყნის წარმომადგენელს გავაცანით; ზოგიერთმა უკვე დადებითი შეფასება გამოგვიგზავნა. წლეულს ჩვენი აამატჩო შეხვედრა ავსტრიელ სპორტსმენებთან, ნაწილობრივ, საბჭოთა მრავალჭიდის პროგრამით გაიმართება.

მინდა აღვნიშნო, აგრეთვე, სასიკეთო ცვლილებები წყალქვეშა სპორტის მოყვარულთა აღჭურვილობის წარმოებაში. მოსკოვის რეზინის ქარხნებმა მოაგვარეს კარგი ნიღბებისა და ფარფლების გამოშვება. ლენინგრადელმა ინჟინერმა ა. გუბამმა დაამუშავა აქვალანგის ახალი, საუკეთესო მოდელი.

წლევანდელ სეზონში ბევრ კარგსა და ახალს ველით. საბჭოთა წყალქვეშა სპორტსმენები დიდ ცისფერ გზაზე გამოდიან.

ა. ჩისტოვი.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲠᲒᲝᲕᲜᲝ ᲑᲐᲜᲜᲘᲡᲖᲔ

წყალში ხტომა. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი (ვაკე). **15 მაისი. საერთაშორისო შეხვედრა საქართველო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.** დასაწყისი 19 ს.

ველოსპორტი (ტრეკი). ველოსტადიონი (კამოს ქ. № 89). **15 მაისი. თბილისის პირად-გუნდური პირველობა.** დასაწყისი 18 ს.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **15-17 მაისი. საქალაქთაშორისო მატჩ-ტურნირი ბაქო — ერევანი — თბილისი.** დღეს: თბილისი — ბაქო, ხვალ: თბილისი — ერევანი. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ᲮᲔᲚᲑᲝᲠᲗᲘ. სპორტის სასახლე. **16 მაისი. საკონტროლო შეხვედრა სსრ კავშირის ჩემპიონატის დასკვნითი ტურის წინ. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კუნცევო“ (მოსკოვი).** დასაწყისი 20 ს.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო იუწყება სპორტის ოსტატ

მალხაზ ვალერიანის ძე ერისთავის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 მაისს 8 საათზე. გამოსვენება 19 მაისს 5 საათზე (სულხან-საბას ქ. № 8). დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ᲐᲨᲨ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲘᲥᲪᲔᲕᲐ

აშშ-ის ფეხბურთის მესვეურთა განცხადებით, მომავალი სპორტული წელი ამ ქვეყნის საფეხბურთო ლიგის დაარსებით აღინიშნება. ნიუ-იორკის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორმა ბილ კოჭსმა განაცხადა, რომ უკვე 11 კლუბი შევიდა ეროვნულ ლიგაში და მოსალოდნელია კიდევ 5 კლუბის შემოსვლა (აქედან 2 კანადურისა).

ლიგის დაარსებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია 200 უცხოელი ფეხბურთელის გადასვლა აშშ-ში. რომელთაგან უმეტესობა ბრიტანეთიდანაა მოსალოდნელი.

ფიფა-ს პრეზიდენტმა ს. როუზმა განაცხადა, რომ არავინ შეუშლის ბრიტანელ ფეხბურთელთა გადასვლას შეერთებულ შტატებში, თუ კი ყველაფერი არსებული კანონების დაურღვევლად მოხდება.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა დაუმატა, რომ ინგლისში ამჟამად 3.000 პროფესიონალი ფეხბურთელია და სეზონის დამთავრებისას ზოგიერთ მათგანს ყოველთვის სურს კლუბის გამოცვლა.

(საკ. ინფ.).

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უ1 05940